# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

... დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დას... უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ქუჩაზე, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



**ანასტასია კერესელიძისა** თავის შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, შაბათს, 30 იანვარს, დიდუბის ეკკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **ივანე ივანის ძის კერესელიძის** სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე.

(2—1)

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

კვირას, 31 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება უკანასკნელად ამ სეზონში

### სამშობლო

ისტორ. დრ. 5 მოქმედ. თ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

რადგან 24 იანვარს დანიშნული საზოგადო წლიური კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, ხელ-ახლად დანიშნულია, კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 სექტემბრიდგან 1891 წლისა 1 სექტემბრამდე 1892 წლისა; ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ 1892—93 წლისათვის, და გ, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

სამშაბათს, 2 თებერვალს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი

კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა“

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ წევრნი და აგრედვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

(5—3)


## მოვალეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა

(კიდევ „Новое Обозрѣніе“-სა და კახეთის რკინის გზის გამო).

სამად-სამი გზაა, ჩვენის ფიქრით, რომ გაჩნდეს ის ძალ-ღონე, რომელიც გასწევს როლს მეთაურობისა და თაოსნობისას ქვეყნის აშენების საქმეში. რამდენადაც-კი ნებას გვაძლევს დაკვირვება დღევანდელის ყოფა-ცხოვრებისა, ჩვენ მხოლოდ ეს სამი გზა მიგვაჩნია შესაძლებელად, რომ ან ერთით გაჩნდეს იგი ძალ-ღონე, ან მეორით და ან მესამით. სამში ერთი უნდა მოხდეს: შეიძლება ეს ძალ-ღონე ჩვენ გარეშე გაჩნდეს და გარედამ მოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, ან ევროპიელ მრეწველთა სახით, ან ხაზინის სახით, ან არა და—სხვა ერთა და ტომთა ვაჭარ ხალხის სახით. ეს გარედამ მოსული, ჩვენთვის უცხო, ძალა დაეპატრონება წარმოებას და, როგორც მისი ნება იქნება, ისე დაატრიალებს აღებ-მიცემასა, ვაჭრობასა და გასწევს ამასთანავე შუამავლობას, შუაკაცობას მსოფლიო ბაზარსა და ჩვენ შორის. ასეთი გარემოება დაჰბადავს ჩვენში ისეთს ვითარებას, რომელიც საეკონომიო ყმობას ძალიან დაემზგავსება: ნაღები სხვას დარჩება, ხოლო ნაღებ-მოხდილი, წყალ-წყალა რძე—პირდაპირ მწარმოებელთ, რომელნიც უცხოთა ღალის მძლევლებად და მათ მოხარკეებად გადიქცევიან.

შესაძლოა აგრედვე, რომ იგი ძალ-ღონე დაიბადოს თვით ჩვენის ერის სიღრმესა და წიაღში. სტიქიონებრ, ყრუდ და ცნობიერების გარეშე მოიკრებს თავს და დაგუბდება ეს ძალ-ღონე; წვეთ-წვეთობით გადიდდება, გაიმატებს, გაერთიანდება ზღვად გასასკდომად და ერთს მშვენიერს დღეს დიდის ბატონივით დაიძვრის ჩვენის ცხოვრების ხელ-მძღვანელად და მოსაწყობად. მაგრამ ასეთი ზრდა ძალ-ღონისა მეტად მძიმე, ხანგრძლივი და ძნელი საქმეა. მართალია, ეს ზრდა სწარმოებს ამ ჟამადაც; ამ ჟამადაც ჩნდებიან მდაბიო ერის სიღრმიდამ თითო-ოროლანი, რომელთაც კარგად აქვთ აღებული ალღო დღევანდელის ვითარებისა და მრავლად იკრებენ ხელში ქონებასა და დოვლათს. მაგრამ, ჯერ ერთი, რომ თითოეული ამისთანათა შორის თვითონვე ნაწილია იმ ზრდა-დუღილისა, რომელიც მის ცნობიერების გარეშე სწარმოებს და ამიტომ ჰხელმძღვანელობს არა ქვეყნის საზოგადო ინტერესებით, არამედ მხოლოდ თავის საკუთარის, კერძო და პირადის ანგარიშით. მეორეც ისა, რომ თითოეულნი ამისთანა კაცნი განცალკევებით ჰმოქმედობენ, სათითაოდ, ერთიერთმანეთის მხარ-მიუცემლად და ამის გამო ბევრს ძალასა და ღონეს ჰკარგავენ იმ ბრძოლაში, რომელიც იძულებულნი არიან გაუწიონ ათას გვარ მტერსა და დაბრკოლებას. შეერთებას, შეჯგუფებას, შეამხანაგებას ამისთანები მოიფიქრებენ მხოლოდ მაშინ, როცა ბრძოლა და ჭიდილი ცხოვრებისა ცოტაოდნად განავითარებს, გააცნობიერებს, დააბრძენებს და როცა იგივე ბრძოლა და ჭიდილი იმ გამწვავებამდე მივა, რომ მისი ატანა შეუძლებელი-ღა გახდება თითოეულთა საკუთარის ძალ-ღონისათვის.

ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს მხოლოდ ამ შემთხვევაში. აი რა: უკეთუ ამ სასურველის ძალ-ღონის ზრდა თავის ბუნებრივს დუღილზე იქმნა მიგდებული, უკეთუ სტიქიონებრ იარ, ათავისით, სრულიად თავმინებებული, საშიშია, რომ ვაი თუ ეგ დუღილი, ეგ პროცესი სრულებით ჩვენის ქვეყნის უუძვირფასეს ინტერესების სასარგებლოდ არ გათავდეს.

აი ამიტომ აუცილებლად საჭიროა, მაგ საქმეში ცნობიერება ჩაერიოს, გონიერებამ ჩააშუქოს, რათა აჩქარებულ იქმნას გაერთიანება თითოეულის ძალ-ღონისა, რათა დამკვიდრდეს ის აზრი, რომ ყოვლად და ყოვლად საჭიროა შეერთებული, შეამხანაგებული მოქმედება ქვეყნის სათითაო ძალ-ღონისა ერთის სურვილისა და ერთის საგნისაკენ მისადრეკმისამართავად.

ამ საქმის შესრულება მოვალეობაა ჩვენის თავად-აზნაურობისა და ჩვენის ინტელიგენციისა და აი სწორედ აქ შეგვიძლიან დავინახოთ და გავითვალისწინოთ ის მესამე გზა ჩვენის განვითარება-წარმატებისა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოდ ვილაპარაკეთ და რომელიც ერთად-ერთი სასურველი, ერთად-ერთი მხსნელი და მაცხოვნებელია ჩვენი.

ივერიელი

## ახალი ამბავი

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას 150—200 მანეთი დაუნიშნავს ჯილდოდ, ვინც ჩიკაგოს გამოფენაზე გასაგზავნად შეადგენს პაწია წიგნაკს კავკასიის მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ; წიგნაკი $1^1/_2$-დგან 3-მდე დასტამბული ფურცელი უნდა იყოს.

*** როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, განსვენებულმა ეგორ იაგორის ძემ ფრიდონოვმა დასტოვა თანხა, საიდგანაც სხვათა შორის უნდა ეძლეოდეთ ხელოსანთა გასათხოვარ ქალებს წელიწადში თითოს თერთმეტი თუმანი და ოთხი მანათი, იმ პირობით, რომ თუ ერთ წელიწადს ხელოსნებმა ამოარჩიეს ღარიბი სომეხი ქალი, მეორე წელიწადს უნდა ამოირჩიონ ქართველი ქალი. 28 იანვარს კრება ჰქონდათ სახელოსნო გამგეობაში ქალაქის ამქრებს და ამ კრებაზედ ორ ქალს ამოუვიდათ კენჭი—მათგანი ერთი სომეხია და ერთიც ქართველი. ქართველმა ქალმა, დურგლის შვილმა, ნინო ივანეს ას-

## ფელეტონი

### პედაგოგიური შეცდომა.

„ახალი ანბანი“, ალნიაშვილისა. წიგნი 1: ანბანი. წიგნი II: ხალხური ლექსები. წიგნი III: წვრილი ამბები. წიგნი IV: წვრილი ამბები. წ. V: გასართობი. ტფილისი. 1892 წ.

(დასასრული *)

IV

„ახალის ანბანის“ მასალა: სახალხო ლექსები და გამოცანები, წვრილი ამბები, ზმები, რებუსები და გასართობი“.

ზმებსა და რებუსებს პირველ წიგნში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არა თუ პირველ წიგნში, საზოგადოდ წიგნი არ უნდა იბილწებოდეს და იმწიკვლებოდეს ასეთის უაზრობით. მართლაც და, რა არის ზმა და რებუსი უკეთესს შემთხვევაში, თუ არ უაზრობა. ახლა წარმოიდგინეთ სულ უხეირო ზმა—რებუსები, როგორებიც „ახალ ანბანშია“ მოქცეული! აი თუნდა ერთი მაგალითი. „მელანიამ დაფარულად სახლში კალა მიიტანა“. მერე? სხვა არაფერი; ეს უაზრო და უალაგო-ალაგას ჩაჩხირული წინადადება ზმას შეიცავს: „მელანი“, „დაფა“, „კალამი“. ვიმეორებთ, ასეთს დაბალის ღირსების ოხუნჯობას საყმაწვილო წიგნში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სახალხო ლექსებში ბევრი კარგი ურევია. მაგრამ არის ისეთებიც, რომელიც უეჭველად უნდა გამოირიცხოს საბავშვო წიგნიდამ: „საბრალო დედაბრისასა“, „სანთლის გუთანს ავაშენებ“. საქმე იმაშია, რომ ბავშვი ისეც ბევრნაირის ცრუ-მორწმუნებით არის სავსე, ისეც გონება დაშინებული აქვს ეშმაკებისა და მავნე სულებისაგან. პირველმა წიგნმა-კი არ უნდა მოუწყოს ხელი ასეთს ცრუ-რწმენას, პირიქით უნდა განუფანტოს, უნდა გასწმინდოს, გაათახლისოს ნორჩი გონება ყოველისავე უცნაურისა და არ-არსებულისაგან. ზემოდ დასახელებულ ორ სახალხო ლექსში იხსენება ეშმაკები, ჭინკები, დევები და სხვა არ-არსებული საგნები. პირველმა წიგნმა თუ ეს მავნე სულები ახსენა, უნდა იმ აზრით და განზრახვით ახსენოს, რომ ესენი არ არსებობს ქვეყანაზედაო. ბ-ნმა ალნიაშვილმა-კი დაუხატა კიდეც. ამით ცრუ-რწმენა უფრო დაუმკვიდრა ბავშვებს და მით დიდი ზარალი მოუტანა. ან სად მოიგონა შემდგენელმა ისეთი შესაზარი და მახინჯი სურათი დევისა! დევი დაუხატავს ადამიანის სახით, თავზედ ორი რქა გაუკეთებია და ვეებერთელა კუდი დაუკიდნია.

ერთიც ვნახოთ, იკითხა ბავშვმა: დევები არიან თუ არა ქვეყანაზედ?—არა. მაშ წიგნში რად არიან დახატულები? თუ დევები არ არიან ქვეყანაზედ, მაშ ალნიაშვილმა სურათი მათი სად იშოვნა? უნდა ვუთხრათ,—მეტი ღონე არ არის,—რომ წიგნი სტყუისო. აბა კიდეც ეს არ არის სასურველი, საყმაწვილო წიგნი არ უნდა სტყუოდეს. სახალხო გამოცანები თითქმის სულ არ ვარგა. ბ-ნ ალნიაშვილს ჰგონებია, ოღონდ ხალხის ნაწარმოები-კი იყოს, და ყველა კარგი იქნებაო. დიდი შეცდომაა. სახალხო ქმნილებათა შორის ბევრი წარმოგვიდგენს თვით ობოლს მარგალიტს, მაგრამ ბევრი სრულიად უვარგისიაა. პედაგოგმა უნდა ყურადღებით განიხილოს სახალხო სიტყვიერების მასალა და ამოარჩიოს ის, რაც უკეთესია და ყრმათათვის შესაფერი. ერთი ნიმუში გამოცანისა ზემოდაც დავასახელე. აი კიდევ:

შავი შამრეში მეფისა,
მაღლა ამღები ფეხისა;
ლაგამს ვერავინ აუგდებს,
კაცი ამ ჩვენი ქვეყნისა!

ჯერ ეს „შამრეში“ რა სიტყვაა? თუ პროვინციალიზმია, პირველ წიგნში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მერე, აბა გამოიცანით თვით გამოცანა? განა რომ ძნელია? თურმე ეს

*) იხ. „ივერია“ № 20.

ულმა კაციაშვილმა, უკვე წარუდგინა 29 იანვარს ქალაქის გამგეობას მოწმობა, რომ მას ერგო ხსენებული ფული. ქალაქის გამგეობამ დაუყონებლივ მისცა თერთმეტი თუმანი და ოთხი მანეთი. საწყალი ობოლი ქალი თავისის დეიდით ცას ეწეოდნენ სიხარულით და ჰლოცავდნენ განსვენებულს ფრიდონოვს ასეთის კეთილის საქმისთვის. იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მით უმეტეს, რომ ეს ქალი იმავ დღეს, ე. ი. 29 იანვარს, ჯვარს იწერს.

*** ქალაქის თვით-მმართველობამ ამ სამის წლის წინად დაარსა ერთი ჩინებული დაწესებულება, სახელდობრ— საზოგადოება შენობათა საურთიერთო დაზღვევისა ცეცხლისაგან. დასაწყისში საზოგადოებას ერთი კაპეიკიც არა ჰქონდა ფული, ხოლო საბჭომ აღუთქვა, რომ, უკეთუ რამ ზარალი მოგივიდა ცეცხლისაგან, ქალაქის კასსა გასცემს პასუხს დაზარალებულთ, ვიდრე ხუთიათას თუმნამდეო და მეტს-კი ვერ ვიკისრებთო. თუმცა ასეთი შეუშურვებელი საძირკველი ჰქონდა საზოგადოებას, მაინც საურთიერთო დაზღვევის აზრი ბევრმა სახლის პატრონმა მოიწონა, ამიტომ რომ დაზღვევის ფული სხვებთვის-კი აღარ უნდა ეძლიათ, არამედ თითონვე უნდა ეტრიალებინათ ხელში და, მოგებას ჰნახავდა თუ ზარალს, თავიანთივე იქმნებოდა. ამის გამო პირველისავე წლის გასვლამდე საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებაში შეტანილ იქმნა სახლები 5,324,231 მანეთისა. ასე რომ სხვა და-სხვა ხარჯის გამორიცხვის შემდეგ საზოგადოებას დაჰრჩა მოგება 5999 მანეთი და 85 კაპეიკი; მეორე წელს ნაღდი მოგება იყო 6920 მანეთი და 87 კაპ., მესამე წელს, ანუ შარშან, საზოგადოებაში დაზღვეული იყო სახლები, ღირებული უკვე 6.457,344 მანეთი, და ნაღდი მოგება საზოგადოებისა ავიდა 8123 მან. და 79 კაპეიკამდე. ამ სახით საზოგადოებამ სამის წლის განმავლობაში შეადგინა საკუთარი სათადარიგო თანხა 21,044 მანეთი და 51 კაპ. უეჭველია რავდენადაც ხალხში გავრცელდება აზრი ამისთანა საზოგადოების უპირატესობისა სხვა საზოგადოებასთან შედარებით, რამდენადაც ხალხი თანდათან შეიგნებს, რომ უპირიანია დასაზღვევი გადასახადი თავისსავე ხელში ატრიალოს, ვიდრე სხვებს აძლიოს, იმდენად ხსენებული საზოგადოება წარმატებაში შევა და მისი თანხებიც გამრავლდება. მით უმეტეს მოსალოდნელია ასეთი შედეგი, რომ ამისთანა საზოგადოებათა აზრი ის არის, რომ ათის ანუ თორმეტის წლის შემდეგ მისნი წევრნი განთავისუფლდნენ დასაზღვევ გარდასახადისაგან და მათი სახლები-კი მაინც დაზღვეული იქმნება ცეცხლისაგან. გარდასახადი გამოერთმევათ მხოლოდ ახალ მწევრთ.

*** „მართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული 21 დეკემბერს 1892 წელს სია და ფასი იმ კერძო დაწესებულებათა აქციებისა, ობლიგაციებისა, პაის ფურცლებისა და სარგებლიან ქაღალდებისა, რომლებიც გირაოდ მიიღება იმ მრეწველთაგან, ვისაც წინდაწინვე არ შეაქვსთ აქციზი და ვადა ეძლევათ ამ გარდასახიდის წარსადგენად. ამ სიას ძალა ექმნება პირველ ნახევარს 1893 წ.

| | რა ფასისაა ქაღალდ. | რავდენ მანეთად მიიღება გირაოდ. |
|---|---|---|
| 1, სახელმწიფოს სარგებლიანი ქაღალდები: | | |
| 3% ობლიგაცია ამიერ-კავკასიის რკინის გზის საზოგადოებისა . | 100 მ. ქაღ. | 65 |
| 5% ობლიგაცია ფოთი-ტფილისის რკინის გზისა . | 100 გ. სტ. | 830 |
| 5% . . . . | 1000 გულდ. | 650 |
| 2, ობლიგაციები და გირავნობის ფურცლები, მამულის თავდებობით: | | |
| 5% ობლიგაცია ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . | 100 მ. ქაღ. | 65 |
| 6% ქ. ტფილისისა . . . . | 100 „ „ | 43 |
| 6% გირავნობის ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . | 100 „ „ | 80 |
| 6% გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 „ „ | 80 |
| შენიშვნა: 6% გირავნობის ფურცლები, რომლებიც უკვე მიღებულია გირაოდ, უნდა დაფასდნენ ისე, როგორც 1892 წლის მეორე ნახევარს იყო დაფასებული. | | |
| 3) აქციები სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებათა: | | |
| აქცია ნავთის მწარმოებლისა და სავაჭრო საზოგადოებისა „კასპიის ამხანაგობა“ . . . | 1000 „ „ | 650 |

*** გუშინ-წინ, 28 იანვარს, სახელმწიფო თეატრში, სომეხთა თიატრის არტისტებმა იდღესასწაულეს 35 წლის იუბილეი სომეხთა თეატრის დაარსების დღიდგან. თეატრი მორთული იყო მწვანე ფოთლებით და ბჭყვრიალა ქაღალდის ჩანგებით. აქა-იქ კედელზე წარწერა იყო სახელისა და გვარისა შესანიშნავთა ამ 35 წლის განმავლობაში თეატრის მოღვაწეთა. ფარდა რო აიხადა, ყველა არტისტები, კაცი და ქალი წყობისად იდგნენ. ამ დროს გამოვიდა სცენაზედ ბ-ნი ერიცოვი და ვრცლად უამბო საზოგადოებას ისტორია სომეხთა თეატრის დაარსებისა და წარმოებისა დღემდე. მერე რიგ-რიგად მიულოცეს სომხის არტისტებს საიუბილეო დღესასწაული: რუსული თეატრის სახელით—ბ-ნ ფორკატიმ, ქართულისა—ბ-ნ აბაშიძემ და ფრანგულისა—ბ-ნ ლასსალმა. საზოგადოებამ ხან-გრძლივის ტაშის-ცემით მადლობა გამოუცხადა სტუმართ და ყველა მათგანს მიართვა თვითო დაფნის გვირგვინი.

მერე დაიწყო წარმოდგენა ბ-ნ ფულინოვის კომედიისა „ლალალ-ლალო“, რომელმაც ძალიან კარგა ჩაიარა და ბევრი აცინა საზოგადოება; მეტადრე კარგი იყო ბ-ნი დავთიანცი ლალალ-ლალოს როლში.

ამას მოჰყვა სიმღერა ქ-ნთ ლასსალისა და მონბაზონისა. ქ-ნი მონბაზონი და იმისი „ძიძერნაკი“ ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ რამდენჯერმე ათქმევინეს და აღარც-კი ეხსნებოდნენ მომღერალს: „კიდევ, კიდევაო“!

ვოდევილს „აჯი-სულეიმანსაც“ არა უჭირდა-რა, ალაგ-ალაგ ჩართული სიმღერები და გათავებისას ლეკური ძალიან მოეწონა საზოგადოებას.

ცხოველი სურათები დიდის ხელოვნებით იყო დადგმული.

*** ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტის წარსულ წლის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1892 წ. სასწავლებლისათვის 32,564 მ. მიუციათ მოსახმარად. აქედგან მოსჭარბებია 3,176 მ. $29\frac{1}{2}$ კ. 1891 წელს-კი, როდესაც შესავალ-გასავალის მწარმოებლად მხოლოდ ერთი დირექტორი ყოფილა, 35,223 მ. და 7 კ. დახარჯულა.

ამის გამო გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, საინტერესოა ვიცოდეთო, რადა ყოფილა ესეთი დიდი განსხვავება შარშანდელსა და შარშანწინდელს ხარჯთა შორისო?

*** 27 იანვარს ოქრო-მჭედლის ქუჩაზე ჰაჯი-უსეინ-ოღლი წაეჩხუბა ნიკოლოზ სალინოვს და ეტლით მიმავალის სალინოვის ხანჯლით დაჩეხა მოინდომა, ხანჯალი სალინოვს ასცდა და იმასთან ეტლში მჯდომს კონსტანტინე კობახიძეს მოხვდა და მსუბუქად დასჭრა. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 28 ამ თვისას კათოლიკების ქუჩაზე ექვთიმე ამბარდანოვის სახლში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

---

## ქართული თეატრი

„საზოგადო საქმე“, კომედია 4 მოქმედებად ჩვენის ცხოვრებიდგან, თხზ. თავ. დ. ერისთავისა

ერთმა გამოჩენილმა კაცმა სთქვა: კარგად რომ დაუკვირდეთ, მზესაც-კი შეამჩნევთ ლაქებსაო. განათლებულსა და განვითარებულ ერის ცხოვრებასაც-კი რომ დაუკვირდეთ, იქაც აღმოჩნდება ბევრი რამ ისეთი, რაც ეწინააღმდეგება სიმართლეს, პატიოსნებას. ყოველ გვარ მწერალის მოვალეობაა, პოეტი იქნება, თუ დრამატურგი, საზოგადოებას თვალია უხილოს, და რაც-კი უწესოებად მიაჩნია, გამოაშკარაოს, გაჰკიცხოს, დასცინოს. ხოლო ბევრჯელ ჩვენი დრამატურგები ამ საქმეს მხარს უქცევენ ხოლმე, უქცევენ იმიტომ, რომ ეს საქმე უფრო ძნელია, უფრო ბევრს დაკვირვებასა და უფრო დიდს შრომას ითხოვს, ვიდრე სხვა გვარ დრამებისა, ან კომედიების წერა, ისეთ დრამებისა და კომედიებისა, რომლებიც სრულიად არ შეეხება თანამედროვე ცხოვრებას. ხშირად ჰნახავთ ისეთს დრამას, რომელსაც ამ ქვეყნის ნიშანწყალიც-კი არ ატყვია. ნახავთ სცენაზედ დეკორაციებს, ტანთ-საცმელს, მომქმედთა სიარულს, ჭამას, სმას, გაიგონებთ ლაპარაკს, სიმღერას, ტირილს, მაგრამ მომქმედთა დახასიათება-კი არსადა სჩანს. არის აგრედვე ისეთი კომედიები, რომელიც მხოლოდ იმისთვის იწერება, მაყურებელნი გავაცინოთო. მოქმედნი სისულელეს სჩადიან—ჩვენ ვიცინით, არტისტი განჯინაში იმალება—ვიცინით, სცენაზედ წაიქცევა—ვიცინით, კაცი ქალურად იცვამს ტანთ-საცმელს—რასაკვირველია, კიდევ ვიცინით.

კომედია „საზოგადო საქმე“ ასეთი კომედია არ არის. ავტორი სცდილობს, კარგად თუ ავად, დაგვანახვოს ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამი, დაგვისურათოს ჩვენი საზოგადოების მოღვაწენი, გვიჩვენოს მათი ღირსება და ნაკლულევანება. რამდენად შეასრულა სურვილი ავტორმა, სულ სხვა საქმეა, მაგრამ თვით ეს სურვილი და განზრახვა ავტორისა სასიამოვნო ამბად მიგვაჩნია. ამ ჟამად ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში მხოლოდ ასეთი კომედია თუ მოეწონება განათლებულ ხალხსა. ბიორნსტენ-ბიორნსონის პიესები „მკურნალი შტოკმანტი“ „ლანდები“ და „ხელთათმანი“ იმიტომ მოსწონს მთელს ევროპას, რომ ეს პიესები ეხლანდელ ნამდვილ ცხოვრებასა და ჭირ-ვარამს შეეხება. მაგრამ ამასთანავე, ბიორნსონის პიესებს ის დიდი ღირსება აქვს, რომ ავტორი მართლა რომ ჩინებულად ასრულებს თავის განზრახვას და ცხოვლად გვიხატავს აწინდელ ცხოვრებას.

სამწუხაროდ, ესევე არ ითქმის კომედიაზე „საზოგადო საქმე“. რომ უფრო ადვილად დავანახვოთ მკითხველთ მისი ნაკლულევანებანი, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ ვაუწყოთ შინაარსი პიესისა.

თავად-აზნაურთა არჩევანების დროს, ვილაც მეშუქეს რეჩებისა, საზოგადოების სურვილისა, ინტრიგიბესა, თუ სხვა რამეს წყალობით (ეს სულ ერთია), გადააყენებენ ძველს წინამძღოლს თავად-აზნაურობისას, თ. სოსლანიანს (ცაგარელი) და ირჩევენ ნიკოს (სვიმონიძე). ნიკოს მამა, ლევანი (გუნია) მეგობარია სოსლანიანისა, შვილს ურჩევს წინამძღოლობაზედ უარი სთქვიო, შენი ამორჩევა კანონიერი არ არის, რადგანაც საზოგადოების სურვილით არ მოხდაო. ნიკო არ უგონებს, მე ქვეყნისთვის მსურს სამსახურიო, მე ახალი თაობის კაცი ვარო, შენ—ძველის თაობისაო. ჩვენ შორის ხიდი ჩატყდაო, და ამასთანავე აწყენინებს კიდეც თავის მამას, ამ გონიერსა და ყოვლად პატიოსანს მოხუცს. გადაყენებულს წინამძღოლს სოსლანიანს ძლიერა სწყინს თავისი დამარცხება, მით უფრო, რომ სამსახურის დროს რაღაც ფული შემოჰხარჯვია და სირცხვილი, ან იქნება, როგორც თითონ ამბობს, ციმბირიც მოელის. ერთად-ერთს კაცს შეუძლიან დაიხსნას გაჭირვებიდგან თ. სოსლანიანი. ეს კაცი მდიდარი არტემოვია (კანდელაკი). არტემოვი

---

„რწყილი“ ყოფილა. მერე რომელი არსებითი ნიშანია აქ აღნიშნული რწყილისა? შავი ბევრი რამ არის, ფეხსაც ზევით ბევრნი იღებენ. ლაგამს ვერ ამოსდებთ ვერც ბუზს, ფუტკარს... და სხვა. რა გასცდებით სახალხო ლექსებსა და არაკებს, მერე იწყება თხზულებანი თვით ბ-ნის ალნიაშვილისა. ღმერთო ჩემო, რა სისუსტეა აქ აზრისა, რა უარ-ყოფაა გრძნობისა, რა დაცინვაა ცხოველის სიტყვისა! განგებ, სანაძლეოზედ, ვერ შესთხზავთ ასეთს უშინაარსო, ცივს, ნაძალადევს წერილებს. აქ უშინაარსობა და უფერულობა სწორედ რომ ერთმანეთს ეჯიბრება.

რომ თქვენც ნათლად დაინახოთ ჩვენის სიტყვების სიმართლე, ერთორ მაგალითსაც მოვიყვანთ აქვე ალნიაშვილის „მთხზველობისას“.

წიგნში „განი“ მე-8 გვერდზედ ასეთს მარგალიტს შეჰხვდებით:

ჭკვიანი მონადირე

ერთი მონადირე ხეზე იჯდა, ხელში თოფი ეჭირა და ფრინველს უთვალ-თვალებდა. ვნახოთ, შემოჯდა მტრედი. მონადირემ თოფი მოიმარჯვა და, ის იყო, როგორც-კი უნდა მოესხლიტა (რა?!), მტრედმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. მონადირეს ჯავრი მოუვიდა, გაუშვა ხეს ხელი და მიაძახა: თუ-კი შენ „ტყლაშ“, მე-კი ვეღარ „ტყლაშო“! დაჰკრა იმანაც ტაში, უნდოდა გაფრენილიყო (!!!) და ძირს მიწაზე კი ბრაგვა გასძვრა.

მოიგონეთ ბელინსკის სიტყვები: სწერეთ ისე, რომ თქვენი ნაწერი დიდებსაც მოეწონოს, და მერე ისე განსაჯეთ ეს ნაწარმოები. განა ეს დაცინვა და მასხარად აგდება არ არის ბავშვისა? მერე ასე ატყუებენ ბავშვს იმ ერისას, რომელსაც ორი-ათასის წლის კულტურა აქვს! არა თუ ქართველი ბავშვი, არამედ გოტენტოტისაც იტყვის, რომ ეს ამბავი არაფერს არა ჰგავს, რომ არც ერთი მონადირე ამისთანა უკუნურობას არ ჩაიდენს, თუ არ მტკნარი სულელიო. გარდა ამისა, რას აძლევენ მასალას ასეთი წერილები: ტვინს, გულს, გონებას, გრძნობას; ენის მასალაა, თუ რა?! ეს წიგნია, თუ საოხუნჯო გაზეთის ნაგლეჯი?

ჩაჰყევ ბ-ნი დოსტკბით. სულ ამ გვარი სტატიები არის შემდეგაც: „მშიერი მელა“ „ორი ბებერი“, „თავისი თავის დასჯა“, „ორი მეგობარი“... და სხვა, და სხვა.

ყველა წერილებში ავტორი ოხუნჯობს, სასაცილო და საოხუნჯო მასალას იძლევა ვითომ. მაგრამ ოხუნჯობა უმარილოა, ამბები გაჭიანურებული, ენა მდორე, მძიმე, უხატუსურათო.

ჩვენ წრფელის გულით ვურჩევთ ბ-ნ ალნიაშვილს, დაანებოს თავი საყმაწვილო წერილების „თხზვას“; ამისათვის სხვა დიდი მადლი და მოწოდებაა საჭირო. ავტორს ერთი საარითმეტიკო „ზადაჩა“ შეუთხზავს, ჩაუბეჭდია „ახალ ანბანში“ და მერე... მერე თითონვე ვეღარ გაუკეთებია, არც სხვას დაჰკითხებია და დიდს შეცდომაში ჩავარდნილა. არა გჯერათ განა ეს საარაკო ამბავი?! ეხლავე თქვენის თვალით დაინახავთ ჩვენს სიმართლეს.

მეხუთე წიგნის მე-28 გვერდზედ ასეთი ამოცანაა:

„ერთმა კაცმა თუმნის სავაჭრო იყიდა და ოც-და-ხუთ-მანათიანი ქაღალდის ფული მისცა. მედუქნეს ხურდა არა ჰქონდა და ბიჭი მეზობელთან აფრინა, ბიჭმა ფული მოიტანა და თხუთმეტი მანათი ხურდა მყიდველს პირდაპირ ხელში ჩააბარა. როდესაც მუშტარი წავიდა, მოვარდა გადაფითრებული მეზობელი და შესჩივლა მედუქნეს, რომ ფული ყალბი გამოდგაო. მედუქნე პატიოსანი კაცი იყო და მეზობელს კარგი ოც-და-ხუთ-მანათიანი მისცა.

რამდენი წააგო მედუქნემ?“.

აბა გამოიცანით რამდენი? ალნიაშვილი „ახსნაში“ ბრძანებს: „სამთუმან-ნახევარიო“. ღმერთსა გფიცავთ, სწორედ ასე, ამ სიტყვებით ამბობს! ის ბავშვები, ვისთვისაც წიგნი შეუდგენია, ეტყვიან, რომ სამ-თუმან-ნახევარი-კი არა, წააგო სულ... პაპაპა! რა ძნელი გამოსაცნობია!.. 25 მანათი.

კმარა, ახლა-კი „ამინ“ და „კირიელეისონ“!

პაატა

ჰპირდება, ფულს მოგცემო, იმ პირობით-კი, რომ შენი ქალი, ლიზა (ავალიშვილისა) მომათხოვეო. საქმის გაჩალხვას მხოლოდ ლიზას თანხმობა აკლია. ლიზა არა სთანხმდება არტემოვის ცოლობაზედ. იმას უყვარს თავისისავე მამის მეტოქე, ახლად ამორჩეული წინამძღოლი — ნიკო, მაგრამ ჰხედავს, მამა მელუპებაო, და შემდეგ სთანხმდება. ნიკო, ავტორის აზრით, ახალ თაობის კაცია. ნიკოს გარს ახვევია ზნეობა-დაცემული და გარყვნილი კაცები: სიკო (აბაშიძე), კრიჭაძე, მუზაძე (ესენიც ავტორის აზრით ახალ თაობის კაცები არიან); ამათ ლაპარაკისა, ჭამისა და ქეიფის მეტი არა აგონდებათ-რა და იმ ბანაკს ემხრობიან, რომელიც იმარჯვებს.

არტემოვისა და ლიზას ცოლქმრობა თითქმის გათავებული საქმეა, მაგრამ ამ დროს ჩაერევა საქმეში გაბრიელის (გედევანოვი) მეუღლე ბარბარე. ამას სულ სხვა განზრახვა აქვს. იცის, რომ ლიზას არტემოვი არ უყვარს და მხოლოდ მამის თხოვნით დასთანხმდა მის ცოლობას. ბარბარე ქმარსა სთხოვს, ათასი თუმანი მიეცი ნიკოსაო. სოსლანიანის მიერ დახარჯულ ფულს შეავსებს, არტემოვს უარს ეტყვიან და ლიზას ნიკოს მიათხოვებენო. გაბრიელი ისეთი კაცია, რომელიც ფეხსაც არ გადასდგამს, თუ სარგებლობას რასმე არ გამოელის. ნიკო ახალი წინამძღოლია, საქმეში გამოადგება, ფულს მისცემს, რატომ არა, იმ პირობით-კი, რომ ისიც დაეხმაროს. ნიკო დაიმედებულია, გაბრიელი ფულს მომცემსო, და ბარათსა სწერს, სოსლანიანისაგან ათასი თუმანი ჩავიბარეო. ბარათი სოსლანიანს ჩაუვარდება ხელში.

ახლა-კი საქმე იცვლება. რა-კი სოსლანიანს ეს ბარათი ხელთ უპყრია, თამამად არის, საზოგადოებაც (გენერალი გადამდგარიანი, ისევ ის სიკო, კრიჭაძე, მუზაძე) სოსლანიანს ემხრობა და ნიკოს ყველანი გადაუდგებიან. გაბრიელი ფულს აღარ აძლევს ნიკოს, თუ სკოლის აშენების „ფოდრატს" მომცემ ხომ კარგი, თუ არა და, არაო. ნიკო ამაზედ არ სთანხმდება და სასოწარკვეთილებაშია. სოსლანიანის მაგიერ თითონ უნდა შერცხვეს, დაისაჯოს. ჰგრძნობს, ტყუილად ავყევი სხვების ფეხის ხმას, ტყუილად ვენდე ცრუ-მეგობრობასაო, მამას შეურიგდება. კეთილი ლევან, თუმცა შვილმა ძლიერ აწყენინა, გაჭირვებიდგან იხსნის და ათას თუმანსა ჰპირდება. ნიკო ლიზას ირთავს და კომედიაც დავდება.

როგორც ჰხედავთ, პიესა კარგა რთულია. ყველა ეს ავტორმა მისთვის შესთხზა, რომ დაგვიხატოს ეხლანდელი ცხოვრება, გვიჩვენოს საზოგადო მოღვაწეთა ღირსება და ნაკლი. აი ძველი თაობა როგორიაო, თითქოს გვეუბნება ავტორი, და აი ესეც ახალი თაობაო. სამწუხაროდ, ავტორმა ვერ შესძლო რიგიანად შეესრულებინა თავისი განზრახვა. მომქმედთა შორის მხოლოდ ორიოდე ტიპია კარგად დასურათებული: მოხუცი ლევანი, გაბრიელი და ცოტა კიდევ სიკოც. დანარჩენი ტიპები ძლიერ მკრთალია და ვერ გაიგებთ, რა ხალხია ეს ხალხი. ერთი ტიპიც მართალი არ არის. ნიკოს მამა ლევანი, ავტორის აზრით, ძველ თაობის კაცია. ჩვენის აზრით, ლევანი არც ძველის თაობის კაცია და არც ახალისა. ლევანი, გონიერი, გამოცდილი და გულ-კეთილი კაცია, რომელსაც თავისი შვილი უყვარს. არც ძველი თაობა და არც ახალი აქ მოსატანი არ არის. ეს პირველი შეცდომაა ავტორისა. ნიკოს როლი მეტად მკრთალია. პიესა ისე თავდება, რომ ვერ შეიტყობთ, რა სწადიან ამ კაცსა, რას ეტანება, რა გონებისა და რა გულის პატრონია. ნიკოს მეგობრები, რომელნიც ავტორის აზრით ახალ თაობას ეკუთვნიან, მხოლოდ ახალგაზდები არიან და არა ახალი თაობა. ეს უფრო დიდი შეცდომაა ავტორისა. ამ ვაჟ-ბატონებს ახალ-თაობას ვერ დავარქმევთ; მართალია, იქნება ისინი მრავლად იყვნენ ჩვენში, მაგრამ ახალ დროის მოღვაწენი და სულის ჩამდგმელნი-კი არ არიან.

გაბრიელზედ არას ვიტყვით. ეს ტიპი, ტიპი ვაჭარ-მოვახშესი, რომელსაც ქვეყანა თავისთვის მწველელ ფურად მიაჩნია, ცნობილი და მრავალჯერ დახატული ტიპია (ავიღოთ, თუ გნებავთ, სუნდუკიანცის „გერასიმ იაკულიჩ ზამბახოვი").

გაბრიელისათვის „საზოგადო საქმე" თავის კუჭის საქმეა. ცოტათი განსხვავდება გაბრიელის ტიპი სხვა ამ გვარ ტიპებისაგან. დრონი იცვალნენ, გერასიმ იაკულიჩი ეხლა ისე ადვილად ვერ ჩაიგდებს ყველას თავის ბრჭყალებში. გაბრიელიც ერევა „საზოგადო საქმეში", თავი მოაქვს, მეც მოღვაწე გახლავართ „საზოგადო საქმისაო", მაგრამ, როგორცა ვსთქვით, ისევ ის უგულო ვაჭარმოვახშეა.

კომედიას სცენის მხრივაც ბევრი ნაკლი აქვს და რიგიანად არ არის შემუშავებული. უმთავრესი ნაკლი პიესისა, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ავტორს ამ კომედიის ტიპები საზოგადოების დაკვირვებით არ შეუდგენია. რამდენიმე ათი, ან ოცი კაცი ხომ არ შეადგენს საზოგადოებას. ავტორი მთელის საზოგადოების ცხოვრებას უნდა დაუკვირდეს, თუ უნდა, რომ პიესა მართლა საზოგადოების ცხოვრებას გვიხატავდეს და არა ხუთიოდე, ან, თუ გნებავთ, ათიოდე კაცისაგან ფოტოგრაფსავით სურათები გადაიღოს და გვიჩვენოს, აი ესენი არიან ჩვენი მოღვაწენიო.

რაც შეეხება პიესის ასრულებას გადაჭრით ვიტყვით: არც ერთს არტისტს არც პიესა შეესწავლა და არც თავისი როლი, და ყველამ ძლიერ სუსტად ითამაშეს, გარდა ვ. აბაშიძისა.

Senex

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

(წერილი ქუთაისიდამ)

ქუთაისის საბჭო ჯერ კიდევ თითქმის მთელ თავის დროს ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას ანდომებს; მხოლოდ ხანდახან, თითქო ხმოსნების შესასვენებლად, ამოჰყოფს ხოლმე თავს თითო-ოროლა საგანი, რომელსაც არა აქვს პირდაპირი კავშირი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვასთან. მაგალითებრ, ერთ წინანდელ კრებას განხილული აქვს პურის მცხობლების თხოვნა. ხაბაზები შუათანა ღირსების პურზე ნიხრის მომატებას თხოულობდნენ. საბჭომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა; ხაბაზებმა შეჰკრეს პირობა და შესწყვიტეს შუათანა ხარისხის პურის გამოცხობა რამდენსამე დღით. ქალაქის გამგეობა იძულებული შეიქმნა დაეთმო და მოემატნა ნიხრი.

ხანდისხან-კი საბჭოს მიერ განსახილველი საგნები დაკავშირებულია ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის საქმესთან და თვითონ საგანიც იმდენად ცხოველი და საინტერესოა, რომ შემთხვევით დამსწრე კაცი ვერც-კი წარმოიდგენს, თუ საბჭო წლიურ ხარჯის შემოსავლის განხილვაშია. სწორედ ამნაირი ხასიათი ჰქონდა საბჭოს გუშინდელ კრებას.

ჯერ განიხილა საბჭომ საგანი მომავალ ხარჯისა და შეუცვლელად მიიღო გამგეობისაგან წარმოდგენილი აზრი, მაგრამ, როცა საქმე მიდგა ხუროთ-მოძღვარისათვის დანიშნულ ხარჯზე, რომელიც 1.200 მანეთია, მაშინ საბჭოში ორი აზრი გაჩნდა. გეხსომებათ, რომ ამ საგნის შესახებ წინა კრებაზე იყო ლაპარაკი და მაშინვე აღმოჩნდა დიდი უკმაყოფილება ეხლანდელის ხუროთ-მოძღვრის მიმართ. თუმცა ყველანი თანახმანი იყვნენ, რომ დღევანდელი ხუროთ-მოძღვარი პატიოსანიც არის და საქმის მცოდნეცაო, მაგრამ ამასთანავე ამბობდნენ, რომ ჩვენ საქმეს, მოუცლელობის გამო, ვერ უძღვებაო. ამის გამო აირჩიეს კიდეც კომისია (ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, მ. ქიქოძე და ნაზაროვი), რომელთაც მიანდეს საქმის ყოველგვარი განხილვა და გამორჩევა იმისა, საუმჯობესო იქნება ქალაქისათვის ეხლანდელ ხუროთ-მოძღვრის დატოვება, თუ საკუთარის აყვანა. კომისიამ წარმოსთქვა თავისი აზრი, 25 იანვრის კრებაზე: ისევ წინანდელი დავტოვოთ 1,200 მანეთის ჯამაგირით, მხოლოდ მივსცეთ ნება, რომ ყოველ შესასრულებულ საქმეში გადაწყვეტილი ასის თავისა აიღოსო; როგორც კანონი ნებას აძლევს, სახელმწიფო სამუშაოებზედ ასზე ოთხი აიღოს; ჩვენ-კი დაუნიშნოთ ასზე ორიო. ამასთანავე მივცეთ ერთი თანაშემწე—კონდუკტორიო. უმრავლესობა იმ აზრს ადგა, სჯობს ქალაქმა საკუთარი ხუროთ-მოძღვარი იყოლიოს, თუ გინდ ორასი და სამასი თუმანი დაუჯდესო.

როცა ქალაქის მოურავმა დაატყო, რომ ამ საგანს კიდევ ეჭირვებოდა მოფიქრება, სთხოვა საბჭოს, მიენდო მისთვის ეს საქმე და ამოერჩია ორი-სამი კაცი კიდევ მასთან ერთად ამ საგნის შესამუშავებლად.

საბჭო დასთანხმდა და აირჩია რამდენიმე კაცი. დაასახელეს აგრეთვე ბ-ნი ქიქოძეცა. ბ-ნმა ქიქოძემ წყენით მოახსენა საბჭოს, რომ ამ საქმის გამოსაკვლევად თქვენ კიდეც აირჩიეთ ერთი კომისია, რომლის წევრადაც, ჩემდა საუბედუროდ, მეც დამასახელეთო. ამ კომისიამ თავისი აზრი მოგახსენათ, ეს აზრი თქვენ სრულიად უყურადღებოდ და უპატივდებულოდ დასტოვეთ. ეხლა კიდევ მეორე კომიას ირჩევთ იმავ საგნის განსახილველად; ჩემის აზრით ესეთი საქციელი ჩვენი აბუჩად აგდებაა და განშორებაა, და მე, არა თუ უარს ვამბობ მონაწილეობა რამ მივიღო ამ ახალს კომისიაში,—სიტყვას გაძლევთ არაოდეს აღარ გავერიო რომელსამე თქვენგან არჩეულ კომისიაში სამერმისოდაო. ამის შემდეგ ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, რომ რამდენისამე წამით შევსწყვიტოთ მუშაობაო.

კ. ბ—ძე

(დასასრული ხვალ)

## სახელმწიფო ბანკის წეს-რიგის შეცვლა.

ეხლა პეტერბურგში უკვე დაიწყო კრება უმაღლესად დამტკიცებულის კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს დებულება სახელმწიფო ბანკისა.

თავმჯდომარედ ამ კომისიისა თვით ფინანსთა მინისტრია, ხოლო წევრებად თითქმის ყველა სამინისტროების წარმომადგენელნი. ამათ გარდა მოწვეულნი არიან საბანკო, საკომერციო საქმეებში და საპოლიტიკო ეკონომიაში დახელოვნებულნი კაცნიც: ე. ი. ლამანსკი, პროფესორი წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტისა ა. ი. ანტონოვიჩი, თავმჯდომარე მოსკოვის სავაჭრო ბანკისა ი. ი. ბილიბინი და წევრი ვარშავის საკომერციო ბანკის რჩევისა ნ. კ. ფლიგე.

ამ კომისიამ ისე უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო ბანკის წესდება, რომ სხვა-და-სხვა მწარმოებელს გაუადვილდეს ბანკიდგან ფულის გამოტანა სესხად, რაც ეხლანდელ წეს-რიგით მეტად გაძნელებულია. აი რა პროგრამმით უნდა იხელმძღვანელოს კომისიამ და რა საკითხთ შესახებ უნდა წარმოსთქვას თავისი აზრი:

1) რა გზით შეიძლება გაუადვილდეს მრეწველთ ბანკიდგან სესხის გამოტანა? რომელ მრეწველთ შეიძლება სესხი მიეცეთ: სესხი განსაძლიერებლად და განსაკარგებლად სამრეწველო ქარხნებისა; სესხი სამრეწველო მასალის სასყიდლად; სესხი სამუშაო თანხის მოსამატებლად. სესხის უმცირესი და უდიდესი ვადა. რა რიგად უნდა უზრუნველ-იყოს სესხი: იმ მამულების შეკვრა, რომელთა თავდებობითაც სესხი იცემა; სოლო-ვექსილები, მამულების თავდებობით; შეკვრა იმ მასალისა, რომლის სასყიდლადაც სესხი ეძლევა; სესხი ნაწარმოებთა თავდებობით; სესხი უთავდებოდ, სანდო მწარმოებელთათვის. რაოდენბა სესხისა: რავდენი შეიძლება მიეცეს სესხად მამულის ღირეულობის კვალობაზედ; განაღდება სესხისა მამულის განკარგებისაგან მომატებულის შემოსავლით. რა რიგად შეიძლება თვალყური ედევნოს, რომ სესხი დანიშნულებისამებრ მოხმარებულ ქმნას: რადგანაც არ შეიძლება თვით ბანკმა ადევნოს თვალ-ყური, რა რიგად მოხერხდება, რომ ეს მოვალეობა სხვათა დაწესებულებათა მოხელეებს დაეკისროს? 2) რა ცვლილებათა შემოღებაა საჭირო, რომ ვექსილებით ვალის გაცემა გაადვილდეს? ვექსილთა განმხილველი კომიტეტი ვისგან უნდა შესდგეს და რა უფლება უნდა მიენიჭოს? მიღება ვექსილებისა არა ვაჭართაგან; ვექსილი ერთისაგან ხელ-მოწერილი; მცირე სესხის გაცემა ვექსილებით; დაკლება და მომატება ვექსილით გაცემულ სესხის სარგებლისა. აღნიშვნა სარგებლის მეტნაკლებობისა იმის კვალად, თუ რავდენად სანდონი არიან ვექსილის მომცემნი, რა ვადით არის დაწერილი და რა ადგილიდგან უნდა გაიცეს სესხი; 3) რავდენი სარგებელი უნდა ეძლიოს შესანახად შემოტანილის ფულის პატრონ იმის კვალად, რა ვადითაც არის ეს ფული შემოტანილი? 4) მიენდოს, თუ არა, სახელმწიფო ბანკს უსახელო ბანკის ბილეთების გამოცემა (ბანკოტი) და, თუ მიენდოს, რა პირობით? საჭიროა არის ეს ღონისძიება ბანკის კასსის აწინდელის მდგომარეობის მიხედვით, თუ არა? ამ ღონისძიებით ხომ ფასი არ დააკლდება ჩვენ ქაღალდის ფულს? ბანკის ბილეთი შეიძლება სახელმწიფო გარდასახადების მაგიერ მიღებულ იქმნას და ყოველთვის დახურდავდება ქაღალდის ფულზე, თუ არა? საჭიროა თუ არა წინადვე გადაკვეთილ იყოს, ნაღდ ფულად (ოქრო-ვერცხლით) რავდენი მიეცემა ბილეთის პატრონს? რავდენი და რა ფასის ბილეთი შეიძლება გამოიცეს? 5) შეიძლება ბანკს მიენდოს დიდ ვადიანის ბილეთების გამოცემა იმის კვალად, რავდენი ფულიც არის დიდის ვადით შესანახად შემოტანილი? 6) შესაძლოა სახელმწიფო ბანკმა იკისროს სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ ფულის განმგებლობა და რა რიგად? გაუქმება ყველა განსაკუთრებულ კასსებისა, რომელიც სახელმწიფო ხაზინასთან არსებობს, და მათი შეცვლა საბანკო კასსებით; ფულის მიღება ამ კასსებიდგან არა ასსიგნოვკებით, როგორც ეხლაა, არამედ ბანკის ჩეკებით; ვინ უნდა იყოს ზედამხედველად და მეთვალ-ყურედ, რომ შესავალ-გასავალი კანონიერად სწარმოებდეს. 7) სასურველია, რომ ამისთანა დაწესებულებანი; პროვინციებშიაც დაარსდეს და რა რიგად? საგუბერნიო და სამაზრო დაწეებულებანი და პატარა სააგენტოები. რა რიგად შეიძლება დაკავშირება სახელმწიფო ბანკისა და მის ხელ-ქვეით დაწესებულებათა, ერთის მხრივ, და სასოფლო ბანკთა და დამზოგველ-შემნახველ ამხანახობათა, მეორე მხრივ? 8) სასურველია სახელმწიფო ბანკის აწინდელის წეს-წყობილობის შეცვლა და რა რიგად? რადგან აწინდელი დამორჩილება ბანკისა ფინანსთა სამინისტროსადმი და კონტროლის რიგი სამინისტროს მიერ ხელ-უხლებლად უნდა დარჩეს,—საჭიროა, თუ არა, ამასთანავე გარეშე კონტროლიც, ე. ი. სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებათა რჩევის მიერ?

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** დიდი ლაპარაკი ასტეხა რეიხსრატში საერო განათლების სამინისტროსათვის საჭირო ფულის გადადების შესახებმა მუხლმა ხარჯთ-აღრიცხვისამ. ილაპარაკა თ. ლიხტენშტეინმა, რომელიც ცნობილია თავის კლერიკალობით და, რასაკვირველია, აძაგა ეხლანდელი სკოლები, მასწავლებელნი, სწავლა-განათლების წესნი და სხვ. მისმა მეგობარმა და თანამოაზრემ შლეზინგერმა ხომ უფრო სულ დაამლაშა: გადასწვდა ბუნების მეტყველებას: ეგ მეცნიერება ულმერთობას ავრცელებსო, და პროფესორებს, რომელნიც სარწმუნოებას აქრობენ ქვეყანაშიო.

საერო განათლების მინისტრმა გაუჩმა საკადრისი პასუხი მისცა ამ ფეოდალებს. თქვენი აზრები აქ-კი არ უნდა გამოსთქვათ, მეცნიერების წინაშე უნდა აღიაროთ და იმათგან უნდა ელოდდეთ პასუხსაცაო. იმათ შეუძლიანთ გაანათონ და გაარკვიონ ეგ საგნები თქვენთვისაო. მეცნიერებას ჭეშმარიტების ძიება აქვს საგნად და ჭეშმარიტება სარწმუნოების დათრგუნვას არ მოასწავებსო. თ. ლიხტენშტეინს, რომელიც ამბობს,

სკოლები სამღვდელოებას დაუქვემდებარეთო, უნდა ვუპასუხო შემდეგიო: ჩემთვის ერთი რამ არის სახელმძღვანელო, სახელდობრ ის დედააზრი, რომელიც გამოთქმულია ჩვენის სასკოლო კანონის მესამე მუხლში. ამ მუხლში სწერია, რომ სახელმწიფო სკოლები არსებობს ყველასთვის, სარწმუნოების განურჩევლად, და იქ შესვლა ყმაწვილისა არაფრით არ უნდა იყოს დაბრკოლებული იმის გარდა, არიან თუ არა ჩვენის სახელმწიფოს მოქალაქენი მისნი მშობელნიო. ეს ჩვენთვის სავალდებულოა და ამას ვერას გზით ვერ გადავუხვევთ. მინდოდა აქ ერთი სიტყვაც მეხმარა, სიტყვა ყოველ გვარ სარწმუნოებათა შეწყნარებისა (Toleranz). აი სიტყვა რომელიც შეეფერ-შეეწონება ზემოხსენებულს საგანს. ამ სიტყვით ჩვენ ვგულისხმობთ ნამდვილს ადამიანობას, ისეთს ურთიერთობას კაცთა შორის, რომელიც დაფუძნებულია იმ აზრზე, რომ თითოეული ადამიანი უნდა მიგვაჩნდეს უპირველეს ყოვლისა ღვთის ქმნილებად, რომ მისი განსჯა და განკითხვა გარეშე ვითარების მიხედვით-კი არა, არამედ შინაგან მის ღირსების მიხედვით უნდა სწარმოებდესო.

**ინგლისი.** ჩემბერლენს ძალიან თურმე არ მოსწონს მთავრობის პოლიტიკა ეგვიპტის საქმის შესახებ. ქვედა პალატაში ამ დეპუტატს უკითხავს კიდევ 22 იანვარს, უზრუნველ ჰყოფს თუ არა გლადსტონის პროექტი ირლანდიის ავტონომიისა ინგლისის პარლამენტის ზეობასაო. მორლეის უპასუხნია, რომ პროექტი თქვენდა განსახილველად იქნება წარმოდგენილი იმ წამსვე, რა წამსაც დასრულდება კამათი იმის შესახებ, თუ როგორი ადრესი მივართვათ დედოფალსაო.

— ჰომრულის პროექტს გარდა, პარლამენტი განიხილავს 4 დეპუტატის, მათ შორის, ჩარლზ დილკის პროექტს, რომ მუშებმა მღვიმე-მადაროებში მხოლოდ 8 საათი იმუშაონ დღეში. ლაბუშერს უნდა წარუდგინოს პროექტი ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ. სხვა პროექტებ შორის საყურადღებოა: ჯამაგირის დანიშვნა დეპუტატებისათვის; რამდენი საათი უნდა იმუშაონ რკინის გზის მოხელეებმა დღეში; მიეცეს ნება სამაზრო დაწესებულებათა, ძალით შეისყიდონ წვრილ-წვრილი მამულები იმათ გადასაცემად, ვისაც უჭირს მამული, რათა ამით გაძლიერდეს რიცხვი მცირე მამულიანთა.

**საფრანგეთი.** ბონაპარტელებს უნდათ 200,000 გირვანქა სტერლინგი, ანუ ორი მილიონი მანათი ფული იშოვონ ინგლისში სესხად. პირობას ასეთს აძლევენ, ვინც ფულს უშოვის: თუ ჩვენ გავიმარჯვეთ არჩევანებზედ, მსესხებელი მიიღებს ორჯერ მეტს ფულს და ჰერცოგის ტიტულსაო.

— გერცი სიკვდილის პირას თურმეა.

— საფრანგეთის ელჩს ვადინგტონს სრული კმაყოფილება მიუღია ლონდონში. როზბერის უთქვამს ვადინგტონისთვის დიდად მართებულ და თავაზიან სიტყვებით, რომ სახელმწიფოთა ერთმანერთობაში მიღებულია ლაპარიკი მხოლოდ რომელისამე საქციელის შესახებაო. რაიცა შეეხება სახელმწიფოთა განზრახულებას, ამაზე ლაპარაკი მიღებული არ არისო.

# დეპეშა

27 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა უკანასკნელად გამოეთხოვა ბუხრის ემირი.

რუსეთის ელჩი დეპეშით იუწყება კონსტანტინეპოლიდგან, რომ შავის ზღვის პირიდგან, ოსმალეთის საზღვრიდგან აზიაში სუხუმამდე, მომავალი საქონელი ერთის დღის კარანტის-ღა გამოივლისო.

გუშინდელ პურით მოვაჭრეთა კრებამ გარდასწყვიტა, დავაარსოთ ორი კომისია, ერთმა ის წეს-რიგი შეიმუშაოს, რომელიც საჭიროა თვალ-ყურის სადევნებლად, თანახმად სავაჭრო დეპარტამენტის წევრთა შენიშვნისა; მეორემ-კი შეიმუშაოს პროექტი, თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს სურვილისა.

**პარიჟი.** რიბომა სთქვა პალატაში, რომ მთავრობა სცდილობს, ლიკვიდაციის მსურველთ დაეხმაროს, რათა კოლუმბიისაგან მიეცეთ კონცესსია პანამის არხის დასასრულებლად, ხოლო მთავრობას არ უნდა მოპასუხედ იყოს პანამის საზოგადოების განახლების გამო.

**მარსელი.** დღეს კრება იყო საჰიგიენო რჩევისა; თან-და-თან უფრო მეტი იხოცება. „Liberte“ დაბეჯითებით ამბობს, მარსელში ხოლერააო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გრეიმ გამოაცხადა, რომ $18^{72}/_{73}$ წლის მორიგებაში პამირის საზღვარი რუსეთის მხრივ არ არის ნაჩვენებიო; ამისათვის, ვიდრე მოლაპარაკება არ დასრულდება, არ შეიძლება ითქვას: ჩინეთი, ავღანისტანი და რუსეთი ერთმანეთს რაშიმე ეცილებიანო. ინგლისი ავღანისტანის და ჩინეთის ინტერესებს შეუწყობს ხელს.

**ვაშინგტონი.** სენატმა დაამტკიცა პირობის ქაღალდი შეერთებულ-შტატებსა და რუსეთს შორის, ერთმანეთისადმი ავაზაკების გასაცემად.

28 იანვარი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ სამოსამართლო პალატამ, სამხედრო მინისტრის საჩივრით, მიუსაჯა თავადს მეშჩერსკის ექვსის კვირით დაპატიმრება სამხედრო წოდების ექიმთა შეურაცხ-ყოფისათვის.

**პარიჟი.** რადგანაც პალატამ მიიღო წინადადება კავენიაკისა, იუსტიციის მინისტრს ბურჟუას უნდოდა სამსახურიდგან გადამდგარიყო, ხოლო მეგობართა თხოვნით ისევ დარჩა მინისტრად.

— პალატაში რიშარი თხოულობდა, რომ მთავრობამ დაუბრუნოს რეინაკს ის ფული, რომელიც მისგან რუვიეს მიუღია საიდუმლო ფონდებისათვის. პალატამ გარდასწყვიტა, სჯა იქონიოს ამ თხოვნის შესახებ.

ის ხმები, ვითომც კაბინეტი სამსახურიდგან გადადგომას აპირებსო, ტყუილია; დაბეჯითებით-კი ამბობენ, მთავრობა აპირებსო პირველსავე შემთხვევაში მოსთხოვოს პალატას, რომ უფრო გარკვევით გამოაცხადოს თვისი ნდობა სამინისტროსადმი.

29 იანვარი.

**მარსელი.** გუშინ 9 სული გარდაიცვალა საეჭვო ავადმყოფობით. მკურნალთ ერთი აზრი ვერ დაუსკვნიათ ამ ავადმყოფობის შესახებ.

**პარიჟი.** პანამის საზოგადოების გამო განუჩინეს: ფერდინანდსა და შარლ ლესეპს ციხეში დაპატიმრება 5 წლით და 3,000 ფრანკის გადახდა, ფონტანსა და კოტიუს—ორის წლით დაპატიმრება და 3,000 ფრანკის გადახდა სიყალბის ჩადენისა და ნდობის დარღვევისათვის; ეიფელს, რომელიც ცნობილ იქმნა დამნაშავედ ნდობის დარღვევის გამო, გადაუწყვიტეს დაპატიმრება 2 წლით და 20,000 ფრანკის გადახდა.

პეტერბურგის ბირჟა, 26 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,78 | 7,80 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155¼ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 228½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 99,87 |

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—10)

**გამგეობა ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობისა** უმორჩილესად სთხოვს იმ წევრთ, რომელთაც ამა მდგომარე წლის იანვარში დაიწყეს პაის ფულის შემოტანა, ხოლო სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ და 1893 წლის იანვრის დამლევისთვის წარმოადგინონ დანარჩენი ფული, თორემ, თანახმად წესდების მე-3 მუხლისა, ამხანაგობის წევრთა რიცხვიდგან გამორიცხულ იქმნებიან. 3—2



## VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენედიქტინი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უმეტესად საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**იყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

## „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

газета политическая, литературная, экономическая и общественной жизни.

**Подписка на 1893 годъ.**

Выходитъ ежедневно, въ форматѣ средняго газетнаго листа.

Съ цѣлью дать больше матеріала для чтенія газета выпускаетъ и вкладные листы.

Удовлетворяя желанія многихъ нашихъ подписчиковъ, редакція, не увеличивая цѣны газеты, будетъ выпускать для городскихъ подписчиковъ газету и послѣ праздничныхъ дней въ форматѣ четверти листа.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**

**Съ доставкой въ Тифлисѣ:**

| | |
|---|---|
| На годъ . . . | 5 р. |
| „ полгода . . . | 3 „ |
| „ три мѣсяца . . . | 1 „ 75 к. |
| „ мѣсяцъ . . . | — „ 75 „ |

**Съ пересылкой для иногородныхъ:**

на годъ . . . . 6 р.

*Подписка принимается: Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова № 3.*

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—37)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ხედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Января 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**